საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუპატაძე ქეთევან ტრისტანის ასული

კუპატაძე ქეთევან ტრისტანის ასული (დ. 9. II. 1971, თბილისი), ქიმიკოსი. პედ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2005). დაამთავრა ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. უნ-ტის (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი) ქიმია-ბიოლ. ფაკ-ტი (1993) და იქვე დაიწყო მუშაობა (1999–2007).

კ-ის სამეცნ. ინტერესების სფეროა გარემოს და ეკოლ. ქიმია, თეორ. ქიმია, ქიმ. დიდაქტიკა ქიმ. ისტორია. სამეცნ. ნაშრომების, 2 ვირტუალური პროგრამისა და 4 მონოგრაფიის ავტორი. ეწევა პედ. მოღვაწეობას ილიას სახელმწ. უნ-ტში (2007-იდან პროფესორი).

არის „European Training Foundation“-ის მეცნ. პოპულარიზაციის ელჩი (2022); ჟურნ-ების „Journal Tchê Química“-ისა (2017-იდან) და „SCIREA Journal of Chemistry“-ის რედკოლეგიის წევრი (2019-იდან); „Southern Brazilian Journal of Science“- ის მეორე რედაქტორი (2022- იდან).

მიღებული აქვს მოლდოვის მეცნ. აკად. სპეც. მედალი ქიმიის პოპულარიზაციისთვის (2017). NATO-ს მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ სტატიაში დასახელდა სამ გამორჩეულ მეცნ. ქალთა შორის (2022).

თხზ.: Surface water chemical composition monitoring in Several villages: Case study of Khakheti Region, Georgia. Handbook of Research on Water Science and Society (26-ე თავის ავტორი), IGI Global Publishing House, (2022); Regarding One Efficient Method of Disseminating Information for Chemistry Teaching (One Example of Environmental